ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

1-2 (9989) • 10 ianvari • 2013 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

საშობაო მსვლელობა ოზურგეთში

გაზეთი „ალიონი“

როგორც 7 იანვარს, გამთენიისას შობის სადღესასწაულო წირვის შემდეგ შემოქმედელმა ეპისკოპოსმა, მეუფე იოსებმა მრევლს განუცხადა, დღისით უკვე ტრადიციულად ქცეული „ალილოს“ მსვლელობა ქ. ოზურგეთის ქუჩებში კვლავ გაიმართებოდა და მოსახლეობის შეწირულობები დღის საბავშვო სახლის აღსაზრდელებს, უპოვრებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასოციაციის ბენეფიციარებს დაურიგდებოდათ.

დღის 12 საათზე საზეიმო მსვლელობა სასულიერო პირებისა და მრევლისა, მგალობელთა გუნდთან ერთად ოზურგეთის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო. ურმის კოფოზე თანდათან მატულობდა შემოწირულობები. გურიის სამხარეო პოლიციამ წელსაც ტკბილეულით და ხილით დატვირთული კალათა შემოაგება მსვლელობის მონაწილეებს. ჟურნალისტების ყურადღება იმ ფაქტმა მიიქცია, რომ გარდა პოლიციისა, საჯარო დაწესებულებები, რომლებიც ყოველთვის საჩუქრებით ხვდებოდნენ „ალილოს“ მსვლელობას, არ გვინახავს. ამჯერად ეს დაწესებულებები დაკეტილი იყო.

განსაკუთრებით აქტიური იყო ძველი აგრარული ბაზრის და თაყაიშვილის ქუჩის დასაწყისში მდებარე ინდ. მეწარმეები, სავაჭრო სახლი „მოდერნი,“ ინდ. მეწარმე ზოია ბასილია და ა.შ.

საშობაო მსვლელობაში ოზურგეთის გამგებელი, კოტე შარაშენიძე მონაწილეობდა. შემოწირულობები დანიშნულებისამებრ გადაეცა.

გამგებელი უფასო სასადილოს ესტუმრა

გაზეთი „ალიონი“

შობას, 7 იანვარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე შარაშენიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს ესტუმრა და მის ბენეფიციარებს 125 ერთეული საჩუქარი გადასცა.

კოტე შარაშენიძემ ამ სასადილოს მოიმედე სოციალურად შეჭირვებულებს შობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და თავად გადასცა საჩუქრები. გამგებელი დაინტერესდა სასადილოს პირობებით და შეპირდა ბენეფიციარებს, დღემდე გადაუჭრელ ბუნებრივი აირის შეყვანის საკითხის მოგვარებას.

ბენეფიციარებმა კოტე შარაშენიძე სამადლობელი სიტყვებით და ტაშით დააჯილდოა.

აქცია პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით

ნინო ნიკოლაიშვილი

— „პირველად უნდა გადადგეს პრეზიდენტი, რომელსაც მერე თავისთავად უნდა მიჰყვეს ნაციონალთა ნარჩენები, გუბერნატორი, მოადგილეები... ისინი, ვინც ახლა გალიიდან გვიყურებენ“ — განაცხადა 4 იანვარს მუნიციპალიტეტის გამგეობის წინ, პრეზიდენტის გადადგმის მოთხოვნით გამართულ აქციაზე სამოქალაქო საზოგადოების „ჩვენ ვეძებთ სამართალს“ ხელმძღვანელმა ლელა ნაცვალაძემ. მისი თქმით, პრეზიდენტი და მისი გუნდი არა მარტო განვლილ პერიოდში ჩადიოდა დანაშაულს თავისი ხალხის, ქვეყნის წინაშე, არამედ დღესაც ხელს უშლიან ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას. — „რა დღეში ჩააგდო ქვეყანა სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, ეს კარგად ვიცით. პირიქით, როგორ იქცევიან და უშლიან ხელს ახალ პოლიტიკურ ძალას, ამასაც კარგად ვხედავთ. ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა გადადგეს მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისთანავე და გზა მისცეს ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას. 800 000-მდე ხელმოწერა უკვე შეგროვდა, მათ შორის ოზურგეთში 10 000. ეს აქცია 20 იანვრამდე გაგრძელდება და გთხოვთ, როგორი წარმატებითაც მოვიგეთ არჩევნები გურიაში, ასევე პირველები ვიყოთ ამ მოთხოვნითაც“.

გვ-2

საახალწლო შეხვედრაზე

მარი კოძოევი

ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარებს ახალი წელი სამხარეო პოლიციის პირველმა პირმა, ზაზა პეტრიაშვილი და ოზურგეთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, კოტე შარაშენიძემ მიულოცა. ბავშვები სტუმრებს საახალწლო ღონისძიებით დახვდნენ. ტრადიციულად ცეკვა, სიმღერა და ლექსი ალამაზებდა ზეიმს. თოვლის ბაბუის როლი ოზურგეთის თეატრის რეჟისორმა და მსახიობმა, იური ჯიჯიეშვილმა მოირგო.

სტუმრები ორგანიზაციაში ხელცარიელები არ მისულან. ბავშვებს საახალწლო საჩუქრები მოუტანეს.

კოტე შარაშენიძემ აღნიშნა, რომ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას მომავალშიც აუცილებლად გააგრძელებს „მე ყოველთვის მათ გვერდით ვიქნები" აღნიშნა მან.

რომან ლომაძე: „მადლობა სტუმრებს ყურადღებისთვის და საჩუქრებისთვის. მჯერა რომ ჩვენი ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება".

7 დღის ამინდის პროგნოზი

10 იანვარი ხუთშაბათი	11 იანვარი პარასკევი	12 იანვარი შაბათი	13 იანვარი კვირა	14 იანვარი ორშაბათი	15 იანვარი სამშაბათი	16 იანვარი ოთხშაბათი
თოვლი +2+4	თოვლი +1+4	მზე, ღრუბელი +2+7	მზე, ღრუბელი +6+11	წვიმა +7+11	თოვლი +4+11	მზე, +8+13

აქცია პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით

აქციაში, რომელიც საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გაიმართა, 45 სხვადასხვა პოლიტიკური, არასამთავრობო, თუ სამოქალაქო საზოგადოება მონაწილეობდა. არასამთავრობო ორგანიზაციის „ერთსულოვნება“ ხელმძღვანელმა მამუკა ანდღულაძემ პრეზიდენტის საქმიანობებზე ისაუბრა და კონსტიტუციის ის მუხლი გაიხსენა, რომლის თანახმადაც 20 იანვარს უკვე ეწურება საკაშვილს საპრეზიდენტო ვადა: – ჩვენ აქ ვდგავართ, რათა მხარი დავუჭიროთ ხალხის ნებას, გადადგეს პრეზიდენტი, რომელმაც თავისი პრეზიდენტობის პერიოდში დაარღვია ხალხის უფლებები; გლეხი მოსწყვიტა მიწას; გაყიდა და გაასხვისა ქართული მიწაწყალი; საქართველოს ათასობით მოქალაქე სამუშაოდ გადახვეწილია უცხოეთში;

აქციას შეუერთდნენ და თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს საზოგადოების წარმომადგენლებმა, რიგითმა მოქალაქეებმა.

ვახტანგ მამეიშვილი, მხატვარი: –ეროვნული მოძრაობის პერიოდში გვეგონა, დამოუკიდებლობას მოვაღწიეთ და ქვეყნის აღმშენებლობა გარდაუვალი იქნებოდა. მაგრამ მოვიდა უკანონო ხელისუფლება შევარდნაძის სახით, მან თავისი ლეკვები გამოზარდა, მათ კი ქვეყანა იმ გზაზე დააყენეს, რომლითაც მომავალი არ ეწერა. ვერტიკალიდან დაწყებული ძირამდე დასულია უკანონობა. სააკაშვილმა ათასობით ხელოვანი, თუ საზოგადო მოღვაწე ჩასარეცხთა სიაში გაამწესა და რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ისინი შიმშილით დაიხოცებოდნენ.

ემოციური იყო მოქალაქეების, **ანზორ დოლიძისა** და **თეო როყვას** გამოსვლა, რომლებმაც არ დაიშურეს „ეპითეტები“ პრეზიდენტის „შესამკობად“.

პრეზიდენტის უპირობო გადადგომას ითხოვდნენ და სააკაშვილისა და მისი გუნდის ტყუილ დაპირებებზე საუბრობდნენ ლაითურელი **ზურაბ** და **ედნარ სურმანიძეები**, რომელთა თქმით, მათ დაბაში ხმათა უმრავლესობა ნაციონალებმა ხალხის მოსყიდვით და დაშინებით მიიღეს.

თამარ დარჩია, ექიმი: სააკაშვილი აღმაშენებელს ადარებდა თავს და დამანგრეველის სახელი დაიმკვიდრა. ვუერთდები ხალხის მოთხოვნას. მიშა უნდა გადადგეს. ის ჩვენი პრეზიდენტი არ არის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი გილოცავთ შობა-კალანდას!

სულიერად და შემოქმედებითად ამაღლებულ წელს გისურვებთ.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ოზურგეთელ ლიდერთა მოსაზრებები აქციის შესახებ.

კოტე შარაშენიძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი: –სწორი მოთხოვნაა. ვუერთდებით საზოგადოებრივ მოძრაობას. სააკაშვილი აუცილებლად უნდა გადადგეს, რადგან ის ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას და წინსვლას;

მარინა სუნგულია, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი: –ლეგიტიმურია მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომაზე, ერთხელ მაინც მოვექცეთ კონსტიტუციას ღირსეულად. პრეზიდენტმა არა მარტო საკონსტიტუციო ვადა, არამედ ყოველგვარი ზნეობრივი, მორალური რესურსი ამოწურა, რომ იყოს საქართველოს პრეზიდენტი.

ტიფო მიქატაძე, რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე: – ვუერთდები აქციას, ეს არის ხალხის ნების გამოხატულება, გადადგეს უზურპირებული ხელისუფლება. სამი თვის წინ აირჩია ხალხმა ახალი ხელისუფლება, რომელიც პარლამენტში და მთავრობაშია წარმოდგენილი და რომელიც შესაბამისი სამართალდამოკიდებული მექანიზმებით გამოხატავს თავის ნებას, პრეზიდენტი კი ხელს უშლის ყოველივეს. კარგია, რომ საზოგადოება ფხიზლობს, არ ისვენებს და აგრძელებს ბრძოლას სამართლიანობისათვის.

ზოთა გოგიბერიძე, იურისტი: – მე ჩემს მოსაზრებას ვაფიქსირებ, როგორც ჩემი ქვეყნის ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე და ვუერთდები იმ საერთო ეროვნულ ძალისხმევას, რასაც კონსტიტუციური კაზუსი განაპირობებს. ნაცმოძრაობის „კანონშემომქმედებმა“, არაერთხელ შეასწორეს და პრეზიდენტს მოარგეს კანონები- ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი საფუძველი. ფაქტიურად ქვეყანაში შეიქმნა საკონსტიტუციო კრიზისი. ახლადარჩეული პარლამენტი და მთავრობა ახალი კონსტიტუციით ფუნქციონირებს, ხოლო პრეზიდენტის უფლებამოსილებები ძველი კონსტიტუციით რეგულირდება. საპრეზიდენტო ვადა ხუთწლიანია, თუმცა იქვეა ახალი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ყველა სახის არჩევნები იმართება ოქტომბრის თვეში. პრეზიდენტმა კარგად უნდა გაიგოს, რომ ხალხი მას უარს ეუბნება, პატივი სცეს მათ პოზიციას და გადადგეს.

ელექტრონული ბიბლიოთეკების განვითარების გზებზე

ნუგზარ ასათიანი

ინტერნეტმა დიდი შესაძლებლობები მისცა მის მომხმარებლებს მათთვის საჭირო მეტი ინფორმაციის მისაღებად. დრომ მოიტანა და დღის წესრიგში დადგა ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნა, რათა წიგნის მოყვარულთათვის შესაძლებელი გახდეს მათთვის საჭირო ლიტერატურის უმოკლეს დროში მიღება.

30 დეკემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა, რომელიც შეეხებოდა ელექტრონული ბიბლიოთეკების განვითარების გზებსა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის და მუნიციპალური ბიბლიოთეკების თანამშრომლობის პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია; მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი; საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე.

ელექტრონული ბიბლიოთეკის განვითარების გზებზე და პერსპექტივებზე ესაუბრა „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის“ პროექტ „ელექტრონული განვ-ითარების სინდიკატის“ კოორდინატორმა კოკა კიღურაძემ.

–ბიბლოთეკები თანდათან კარგავენ ფუნქციებს. ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნა იმის საშუალებას იძლევა, რომ იგი გახდეს საჭირო და საინტერესო ადგილი მკითხველთათვის. ხოლო ეროვნული ბიბლიოთეკის და მუნიციპალური ბიბლიოთეკების ქსელის შექმნა იმის საშუალებას მოგვცემს, რომ მკითხველთათვის ყველა სახის ლიტერატურა ხელმისაწვდომი გახდება.

ამ მეტად საინტერესო შეხვედრაზე ბევრი კითხვა დაისვა. კულტურის მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა სოფლებში, იქ, სადაც კლუბის ან ბიბლიოთეკის შენობა შენარჩუნდა თავისი წიგნადი ფონდებით, აღდგეს ისინი.

შეხვედრის თემატიკა ბიბლიოთეკებს გასცდა. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ოთარ კუტალაძე ბატონ გურამ ოდიშარიას თეატრის შენობის რეაბილატაციის აუცილებლობაზე ესაუბრა. მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა განიხილოს ეს საკითხი.

ამ წერილის ავტორმა ოზურგეთის ცენტრში, იუსტიციის სახლის მიმდებარედ ძველი რომაული აბანოების გათხრებზე და იქ შექმნილ პრობლემებზე ესაუბრა. (ამ თემაზე გაზეთ „ალიონის“29 დეკემბრის ნომერში ვრცელი სტატია დაიბეჭდა). მინისტრთან საკითხი რომაული აბანოების შესახებ, ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში სტუმრობისას, ამ კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლევან მჟავანაძემაც დააყენა.

ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლოთეკაში სტუმრობის შემდეგ გურამ ოდიშარიამ არქეოლოგიური ძეგლი დაათვალიერა და ამ ძეგლის გადარჩენის პირობა დადო. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე შარაშენიძე მინისტრს შეპირდა, რომ იზრუნებს ამ ძეგლის გადახურვაზე, ხოლო სამინისტრო სპეციალისტებტან კონსულტაციების შემდეგ–გათხრების გაგრძელებაზე.

–ასეთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი მეტ ყურადღებას იმსახურებს–განაცხადა გაზეთ „ალიონთან“ საუბარში გურამ ოდიშარიამ.

საახალწლო ზეიმი ოზურგეთში

31 დეკემბერს, ქ. ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე, ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ საახალწლო ზეიმი გაიმართა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, ძვირადღირებული როკ-ანსამბლების ნაცვლად მაყურებლების წინაშე ოზურგეთის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი „ლურჯი იალქანი“და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლი „გორდელა“წარსდგნენ.

მუნიციპალიტეტმა ამ საღამოზე 20 მობილური ტელეფონი გაათამაშა სპეციალური ლატარიის საშუალებით. მართალია ამ დღეს არ იყო ზეიმზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი, მაგრამ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაგვიმხილა, წინა წლებში საახალწლო თუ სხვა ზეიმებზე ხალხის მობილიზებას უფროსები საჯარო მოხელეებს ავალებდნენ, ხოლო ახლა ვისაც სურვილი ჰქონდა, ის მოვიდაო.

უნდა აღინიშნოს, რომ ზეიმს არ დასწრებიან სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები. ხოლო მუნიციპალიტეტიდან გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე შარაშენიძე და მისი მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე იყვნენ წარმოდგენილი.

სამაგიეროდ, საზეიმო ფეირვეკების შემდეგ ხელისუფლების „კაბიტაციის“ პროცესი საბანკეტო დარბაზში შედგა. ამ საინტერესო პროცესის შესახებ ჟურნალისტებმა სოციალურ ქსელებში განთავსებული სურათების საშუალებით შევიტყვეთ.

ოზურგეთში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრი გაიხსნა

ნინო ნიკოლაიშვილი

პროექტის „მოდი დავაღვიოთ სიჩუმე“ ფაგლებში იანვრიდან ოზურგეთში ფუნქციონირება დაიწყო ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრმა. ჟურნალისტებისათვის გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე პრო-ექტის ხელმძღვანელმა თამარ ხომერიკმა ისა-უბრა იმ მიზნებსა და სერვისებზე, რომელსაც თავის ბენეფიციარებს შესთავაზებენ. თანამედროვე სტანდარტების შეს-აბამისად მოწყობილ ცენტრში მსხ-ვერპლს შესაძლებლობა მიეცემა მიიღოს იურისტის, ფსიქოლოგის, მედიატორის დახმარება. უკიდურეს შემ-თხვევაში ისარგებლოს ცენტრის თავშესაფრით. თავშესაფარი ერთდ-როულად 6 ადამიანს მოემსახურება, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. დაცული იქნება ანონიმურობა.

მისივე თქმით შემდეგი ეტაპითვის დაგეგმილია ბენეფიციართა გადამზადება უნარების მიხედვით, რათა მათ შესძლონ საზოგადოებაში ინტეგრაცია და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინება.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, გურიის აგრობიზნესცენტრის მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან – საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირსა და გურიის მედიატორთა ასოციაციასთან ერთად.

ნათელა თოხაძის სასამართლო პროცესი დასრულდა

დეკემბრის ბოლოს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მოსამართლე მარინა კიკნაძე) დასრულდა მელექედურის სკოლის ყოფილი დირექტორის, ნათელა თოხაძის სასამართლო პროცესი, რომელიც მის მიმართ განათლების მესვეურთა მიერ განხორციელებულ არასამართლიან ქმედებას შეეხებოდა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

ქალბატონი ნათელას თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას გასული წლის 4 აპრილიდან, ე.ი. სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღების დღიდან. აუნაზღაურდება ნაცდური. თავად სამეურვეო საბჭოს მიეცა რჩევა განიხილოს ნათელა თოხაძის გათავისუფლების 2012 წლის ოქმი.

მჭედლებს მთავრობის თანადგომა გვჭირდება

ოზურგეთს ორი მჭედელიღა შემოვრჩით,– მე და სანდრო რამიშვილი. ორთავე 70 წელს ვართ გადაცილებული. სანდროს ექადიაზე, მდინარე ბჟუჟის პირას აქვს სამჭედლო, ხოლო მე სოფ. ბოხვაურში ვმუშაობ და კვირაში სამ დღეს ძველი ბაზრის ტერიტორიაზე ჩემს მიერ დამზადებულ ცულს, წალდს, თოხს თუ სხვა სოფლისთვის აუცილებელ სამუშაო იარაღს ვყიდი.

მჭედლობა, სამწუხაროდ, გადაშენების გზაზეა დამდგარი იმ დროს, როდესაც ეს პროფესია ესაჭიროება როგორც სოფელს, ისე ქალაქს, მით უმეტეს, როცა დღეს „ქართული ოცნება“ ქართული სოფლის აღორძინებას გეგმავს.

ბოლო ოცი წელია ჩვენთვის არავის სცალია. განსაკუთრებული პრობლემა საწვავის გამო გვექმნება. ამ ოცი წლის განმავლობაში მოსახლეობიდან ვყიდულობდით ქვანახშირის ნარჩენებს, მაგრამ ეს მარაგი ამოიწურა და მჭედლებს სერიოზული პრობლემები შეგვექმნა.

იკითხვათ, ტყიბულში ხომ არის ქვანახშირის საბადო და მისი მოპოვება ხდება? საქმე ის არის, რომ ტყიბულის ქვანახშირი არ ვარგა სამჭედლო საქმისთვის და ჩვენი გამოსავალი უკრაინიდან ფოთის პორტში გემებით შემოტანილი მაღალი ხარისხის ქვანახშირია, („კოქსი“). ფოთის ნავსადგური ამ შემთხვევაში მხოლოდ სატრანზიტო ფუნქციას ასრულებს და ოფიციალურად ქვანახშირი არ იყიდება. ადგილობრივი მოსახლეობა კი იძენს მათგან ქვანახშირს, მაგრამ ისინი ვერანაირ საბუთს ვერ გვაძლევენ, ამიტომ ბუნებრივია გზაზე ქვანახშირის ტრანსპორტირება არ შეგვიძლია.

ვთხოვთ მთავრობას, დაინტერესდეს ამ მეტად საჭირო საკითხით, ქ. ფოთში მოხდეს ქვანახშირის ოფიციალური გაყიდვა და მთელ დასავლეთ საქართველოში შემორჩენილი მჭედლები იქ, სათანადო საბუთით შევიძენთ ქვანახშირს.

მჭედელი კვლავ სჭირდება ქვეყანას. იქნებ დაგვეხმაროთ.

ოთარ თედორაძე,
სოფ. ბოხვაური.

შავი ქამარი, II დანი ტაეკვონ-დოში

გასული წლის ოქტომბრის დასაწყისში ოზურგეთის სასპორტო სკოლის ტაეკვონ-დოს მწვრთნელმა ირაკლი ტულუშმა ქ. თბილისში ტაეკვონ-დოს ფედერაციის პრეზიდენტს ალექსანდრე გორგაძეს (შავი ქამარი, VII დანი) გამოცდა ჩააბარა შავ ქამარზე –II დანი.

ამ გამოცდაში შედის გავლილი მასალების სრულყოფილად ფლობა და დარტყმები, დგომები, თულები (კატები), ფიზიკური მომზადება და სპარინგები (ბრძოლები); ტამეთვარი სპეცტექნიკა (კრამიტების და დოსკების მტვრევა); აგრეთვე საბრძოლო ხელოვნების ფილოსოფია და ფსიქოლოგია.

ირაკლი ტულუშმა წარმატებით გაიარა გამოცდა და დეკემბერში ავსტრიიდან მან მიიღო მწვრთნელის მსოფლიო ლიცენზია (პლაკეა ფორმა), ფედერაციის დიდი პლაკატი, რაც ოზურგეთის სასპორტო სკოლის ლიცენზირებას ადასტურებს. ასევე შავი ქამარი, II დანის ოქროსბეჭდიანი სერთიფიკატი ტაეკვონ-დოში.

2012 წელი ირაკლი ტულუშისათვის შედეგიანი გამოდგა. მან სრულკონტაქტიან კარატეში (საიკონში) შავი ქამარი III დანი მიიღო; ტაეკვონ-დოში კი–შავი ქამარი II დანი.

ტურნირზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

დეკემბრის ბოლოს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

როგორც ოზურგეთის სასპორტო სკოლის წარმომადგენლებმა გვითხრეს, მსაჯების არაობიექტურობის გამო რამდენიმე ოზურგეთელი მოჭიდავე მედლებს მიღმა დარჩა.

ოზურგეთელთაგან მხოლოდ ვალერი მურვანიძემ (84 კგ. წონითი კატეგორია) შეძლო II ადგილის დაკავება.

საშობაო ტურნირი ჭადრაკში

ეს ტრადიციული ტურნირი ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში გაიმართება.

გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის ზურაბ ანდღულაძის თქმით ტურნირში მონაწილეობისათვის რეგისტრაცია ოზურგეთის საუკეთესო მოჭადრაკეებმა გაიარა.

გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით და სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდებიან

ციური ჩხიკვაძის გახსენება

მშვიდად მიეგება მაშინ უფლის შობას. მხოლოდ რამდენიმე საათი დარჩენოდა საამქვეყნოდ. ღიმილი დაჰფენოდა სახეზე, ღიმილით აღესრულა და მშვიდად მიაბარა სული უფალს. სიცარიელემ დაისადგურა, თუმცა სიცოცხლე გრძელდება, სხვანაირად არც მას ესურვებოდა.

კვლავ დაჰნათის მზე მის ნალოლიავებ ეზო-კარს; ისევ იყვავილეს ყვავილებმა; ზაფხულმაც და ფოთოლცვენამაც ჩაიარა უკვე; ზამთრის სუსხმა ნაცრისფრად შეცვალა სიმწვანე. მას შემდეგ, დროის ამ მდინარებასა და ფერიცვალებაში ერთი წელი გავიდა, უსაზღვრო სევდის და მონატრების ერთი წელი. ციური ჩხიკვაძის ოჯახს დააკლდა მისი მზრუნველობით და სიყვარულით სავსე გული. სიცოცხლის ბოლო წუთებშიც მარიამის ჯანმრთელობასა და ბედნიერებას რომ შესთხოვდა უფალს. მისი სიყვარულით ამაყობდა. მარიამიც ისეთი თბილი და დაკვირვებული გოგონა იზრდება, მისი საყვარელი დედა რომ ოცნებობდა და საამისიოდ ბევრს იღვწოდა. მაგრამ განგებას წინ ვერავინ აღუდგა, მერე წუთი მდუმარებით გაიყინა, საიმქ-ვეყნიოდ კი ამქვეყნად ნაკეთები საკ-ეთილო საქმეები გაიყოლა საგზლად და გზის მანათობლად. ბევრი დარჩა მადლიერი, ბევრს დაკლდა მისმიერი სიკეთე, რომელიც ყველას როდი ხელეწიფება. ამიტომაც იხსენებენ ასეთი სიყვარულით და გულისტკივილით, რომელიც მთელ ერთ სიცოცხლედ ღირს მოკვდავთათვის – უფალო, დაუმკვიდრე ნათელი ციური ჩხიკვაძის სულს!

ოჯახი, ახლობლები

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ოლიკო და ირაკ-

ოზურგეთელ მოფარიკავეთა წარმატება

2012 წლის ბოლოს, ქ. ქუთაისის საფარიკაო დარბაზში ჩატარდა ქალაქის ღია პირველობა, სადაც მიწვეული იყვნენ ოზურგეთელი და თბილისელი დაშნით მოფარიკავე გოგონები და ვაჟები. (1998-2002 წ.წ. დაბადებულნი).

კვლავ წარმატებით გამოვიდა ტურნირზე საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი გელა მჟავია (1999 წ.), რომელმაც დამაჯერებლად მოუგო ფინალური ბრძოლა ქუთაისელ სპორტსმენს.

ბრინჯაოს მედალს დაეუფლა გელას თანაგუნდელი ლუკა მეგრელიშვილი, ხოლო ნინო ბარამიძემ ფინალში მცირე უპირატესობით დათმო ბრძოლა და II ადგილზე გავიდა. (მწვრთნელი მალხაზ კვაჭაძე).

ტურნირის ორგანიზატორი ქუთაისის სასპორტო სკოლის ხელმძღვანელი, საქართველოში ერთერთი შედეგიანი მწვრთნელი მალხაზ ძნელაძე იყო.

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“
1 წლით–12 ლარი;
6 თვით–6 ლარი

ვულოცავთ

სახელი ზემფირა, ჩვენთვის ასოცირდება, როგორც სახელი ადამიანისა, რომელიც სავსეა სიკეთით, სიყვარულით, სათნოებით, რაც ასე საძებნელია დღეს ადამიანებში. ზემფირა – პრინციპული, მაგრამ თავმდაბალი; ზემფირა – მკაცრი, მაგრამ სამართლიანი; ზემფირა – მწვერვალი ნიჭიერებისა, შესანიშნავი მცოდნე თავისი საქმისა – ლაბორატორიული კლინიკისა, მაღალი დონის ექიმი-ლაბორანტი; ზემფირა – ღიმილიანი, მაგრამ სევდიანი, უდროოდ წასულ მეუღლეზე ფიქრით.

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელ სიცოცხლეს და დიდი ღვაწლის უსასრულობამდე შენარჩუნებას, ოჯახისათვის, ჩვენს სამკურნალო ცენტრ „ძლევაში“ მოღვაწე მისი კოლეგებისა და მეგობრებისთვის.

მეგობრები.

13 წლის მიშიკო ახვლედიანს ჩვენი თანადგომა სჭირდება

გაზეთ „ალიონის“ 30 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „უფლის სასწაული“.. რომელშიც საუბარი იყო 13 წლის მიშიკო ახვლედიანზე. იგი ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის ცენტრის ბენეფიციარია. 22 ივლისს წყალში ჩაძირული იპოვეს..ბიჭუნა ამჟამად თბილისში, ჟვანიას სახელობის საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში აპარატზეა შეერთებული. ექიმები ყველაფერს აკეთებენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ მკურნალობა სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული. მიშიკოს დასახმარებლად პროკრედიტ ბანკ საქართველოში გახსნილია ანგარიში, სადაც თქვენს მიერ გადარიცხული თითოეული ლარი მისი სიცოცხლის გადასარჩენად გადადგმული თითოეული ნაბიჯი იქნება.

ანგარიშის ნომერი:

GE41PC0533601200000037GEL

ბანკის კოდი:

MIBGGE22

სპორტული ფესტივალი „საქართველო 2012“

ოზურგეთში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ეგიდით სპორტული ფესტივალი ჩატარდა, სადაც 200-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

2 კილომეტრიან გარბენში, 18 წლამდე ახალგაზრდებს შორის პირველი ადგილი ოთარ მჟავიამ დაიკავა, ხოლო 18 წელს ზევით ქალთა შორის პირველობა მარინე კოტრიკაძემ არავის დაუთმო. ვაჟებში კი პირველი ნიკა კარტავცევი იყო. საპრიზო ფონდი 2400 ლარს შეადგენდა.

საქართველოს XXIV ჩემპიონატი ფეხბურთში დაიწყო



25 აგვისტოს სტარტი აიღო 2011-2012 წლებში საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა I ლიგის გუნდებს შორის, სადაც „ა“ და „ბ“ ზონაში 10-10 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ოზურგეთის „მერცხალი“ „ა“ ზონაში იასპარეზებს, სადაც მასთან ერთად გამოვლენ: **„სამტრედია;“ „დინამო“(ბათუმი); „კოლხეთი“ (ხობი); „მეშახტე“(ტყიბული); „ჩხერიმელა“(ხარაგოული); „ჭიათურა;“ „ლოკომოტივი“(თბილისი); „მესხეთი“(ახალციხე); სტუ (თბილისი).**

პირველ ეტაპზე გუნდები 18-18 თამაშს ჩაატარებენ. ზონებში გამარჯვებულ 2-2 გუნდს უმაღლეს ლიგაში გადასვლისათვის ბრძოლა ხსენებული ლიგის ბოლო 4 ადგილზე გასულ კლუბებთან მოუწევთ. დანარჩენი 16 გუნდი 8-8 გუნდიან ჯგუფებად დაიყოფიან. ჯგუფში ბოლო ადგილზე გასული ლიგას ავტომატურად დატოვებს, ხოლო მე-7 ადგილზე მყოფთ, პლეი ოფში II ლიგაში მეორე ადგილზე გასულ გუნდებთან მოუწევთ თამაში.

ოზურგეთის „მერცხალი“ პირველი ტურის მატჩში თბილისში სტუ-ს შეხვდა და გაიმარჯვა 3:2.

5 სექტემბრს, II ტურის მატში „მერცხალი“ „ზოოვეტს“

„მერცხალი“ – ბიუჯეტზე ჩამოკიდებული გუნდი?

შარშან, გაზეთ „ალიონის“ 12 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა სტატია „როცა გუნდიდან ამდენი კაცი ერთად მიდის, ეს მარტო ერთი ფეხბურთელის ბრალი არ შეიძლება იყოს,“ რომელიც საფეხბურთო კლუბ „მერცხალიდან“ ხუთი ფეხბურთელის წასვლის მიზეზებს ეხებოდა. სამწუხაროდ, ამ წერილს გუნდის ხელმძღვანელობის და სახელისუფლებო შტოს ზოგიერთი წარმოადგენლის არაერთგვაროვანი სიტყვიერი შეფასება მოჰყვა. თუმცა, „მერცხალის“ სტაჟიანი გულშემატკივრები რედაქციისაგან ითხოვდნენ, ჟურნალისტები მეტად დაინტერესებულიყვნენ საფეხბურთო თემით.

გასულ სეზონში „მერცხალმა“ წინა წელთან შედარებით უკეთესი შედეგი აჩვენა და პლეი აუტში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, სადაც უმაღლესი ლიგის ბოლო ოთხ ადგილზე გასულ და I ლიგის ასევე ოთხ გუნდს შორის გამართულ ორწრიან ტურნირს უნდა გაერკვია ის ოთხი გუნდი, რომლებიც ახალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში იასპარეზებდა. „მერცხალმა“პლეი-აუტში ამ კლუბის ისტორიაში საოცარი „შედეგი“ აჩვენა. 14 მატში, მხოლოდ ... ერთი ქულის აღება შეძლოა (?!).

გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა გვთხოვა რედაქციაში შეხვედრის გამართვა. ამჯერად გთავაზობთ გელა სიამაშვილთან და ლავრო ტულუშთან გამართული საუბრის შინაარს:

გელა სიამაშვილი: – მაყურებელთა დიდმა ჯგუფმა გვთხოვა მათი გულისტკივილი გაგვეხმოვანებინა, ამიტომ მოვედით თქვენთან, „ალიონის“ რედაქციაში.

დავიწყოთ სტადიონ „მეგობრობით.“ მიუხედავად იმისა, სტადიონის დირექტორს 4 თუ 5 მოადგილე ჰყავს, ოზურგეთის სტადიონი უმძიმეს მდგომარეობაშია. იქ მისულ გულშემატკივარს სავალალო მდგომარეობა ხვდება. ე.წ. ლოჟა და მაყურებელთა ტრიბუნები 10 წლის წინ კლუბის მაშინდელმა პრეზიდენტმა გია მამაკაიშვილმა აღადგინა. დღეს საშინელ მდგომარეობაშია. მოსაწერიგებელია საშხაპე, ფეხბურთელთა საცხოვრებელი კორპუსი.

სტადიონის დირექტორს ჯონი კალანდაძეს საკმაო დამსახურება აქვს „მერცხალის“ წარმატებებში და არა მგონია ვერ შეძლოს სტადიონს ეპატროს, მაგრამ სტადიონის ბიუჯეტი არა რაიმეს გაკეთებაზე, არამედ გაბერილი ადმინისტრაციული შტატების შენახვაზეა გაწერილი. მსოფლიოში უდიდეს სტადიონ „მარაკანას“ დირექტორს არ ჰყავს იმდენი მოადგილე, რამდენიც ოზურგეთის „მეგობრობას.“

ანალოგიური სიტუაციაა თვით საფეხბურთო კლუბ „მერცხალში:“კლუბის პრეზიდენტი, გუნდის უფროსი, მთავარი მწვრთნელი, ორი მწვრთნელი და ა.შ. ამდენი შტატი თვით „მანჩესტერ იუნაიტედს“ არ ჰყავს. გუნდი გაცილებით მეტ თანხას ხარჯავს ფეხბურთელების სხვადასხვა ქალაქებში სათამაშოდ გადაყვანაზე, ვიდრე ერთი სატრანსპორტო საშუალების შეძენა ღირს...

ამბობენ, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვზრდითო. 1996 წლის შემდეგ ოზურგეთის „მერცხალიდან“ არცერთ ასაკობრივ ჯგუფში „მერცხალის“ ფეხბურთელს ნათამაშევი არ აქვს. (გამონაკლისი ლაშა სალუქვაძეა). გია გოგუას და მიხეილ ქობულაძეს კი აქვს დამსახურება „მერცხალის“ წინაშე, მაგრამ რა უნდა ჰქნას 40 წელს მიახლოებულმა ან გადაცილებულმა ფეხბურთელმა?

ეს არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შენახული გუნდი. ამიტომ მიგვაჩნია, კლუბს მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდეს საზოგადოების წინაშე. კლუბის ხელმძღვანელები უახლოეს ხანში უნდა წარსდგნენ გულშემატკივრების წინაშე, მწვავე შეკითხვებსაც უნდა გასცენ პასუხი და სამომავლო გეგმებიც უნდა გააცნონ მათ. სამარცხვინოა, პლეი-ოფის 14 შეხვედრაში მოპოვებული ერთი ქულა. განა ჩემი აზრია, ყველა ამბობს, რომ ეს თამაშები გაიყიდა. თუ ეს ასეა, ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს ამაზე! ამბობენ, გუნდში მისი „სასტავი“ ჰყავს ჩხატარაშვილს... იგი ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობს. ამის დასტური მისთვის ამ „დამსახურების“ შემდეგ ღირსების ორდენის გადაცემა იყო.

ლავრო ტულუში: – ოზურგეთის „მერცხალს“ყველაზე დიდი ისტორია აქვს გურიაში. ოზურგეთში საფეხბურთო კლუბი ჯერ კიდევ 1922 წელს არსებობდა. გავიხსენოთ ოზურგეთის მთავარი გუნდის („კოლმეურნე,“„სიხარული,“„მარცხალი“) წარმატებები საქართველოს თუ ყოფილი სსრ კავშირის პირველობებზე. გასული საუკუნის 60-იან წლებში 2-ჯერ აიღო საქართველოს თასი. შემდეგ 3-ჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, საკავშირო ლიგის გამარჯვებული და ა.შ.

ღმერთმა გაანათლოს ევგრაფი შევარდნაძის სული. მოჰკიდა ხელი ლანჩხუთის გუნდს და ხედავთ რამდენ წარმატებას მიაღწიეს. მთელი გურია აშენებდა ლანჩხუთის სტადიონს, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ? გურიის ფეხბურთის ფედერაცია რატომაა ლანხუთში...

გელა სიამაშვილი: – დაიწყეს ოზურგეთის სტადიონის რეკონსტრუქცია, მინდორი გაკეთდა, შემდეგ შეწყვიტეს და ტრიბუნები ხელუხლებელი დარჩა. იმძლავრა გურიის ფეხბურთის ფედერაციამ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სახსრები გადაატანინა ლანჩხუთში „გურიას“ სტადიონის რეკონსტრუქციისათვის.

როცა ოზურგეთში სტადიონის რეკონსტრუქცია იგეგმებოდა, მაშინდელმა გამგებელმა გია ტაკიძემ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ამ საქმეში წილობრივი მონაწილეობა შესთავაზა. ერთად ვიყავით ზვიად სიჭინავასთან მე და გია ტაკიძე. სამწუხაროდ, მისი დაჭერის შემდეგ ასე შეიცვალა ყველაფერი...

„მერცხალში“ მოწვეული ფეხბურთელებიც თამაშობდნენ, მაგრამ ისინი ამინდს არ ქმნიდნენ, მთავარი მაინც ადგილობრივი ფეხბურთელებია. ტარდება დღეს რაიონის პირველობები (ხელოვნურ საფარიან მოედანზე ფეხბურთს არ ვგულისხმობ), სასკოლო პირველობები? ვიცი, კარგი შედეგები აქვს ბახველ გოჩა კრასოტკინს. ერთხელ თბილისში, „დინამოს“ უკან მოედანზე დავესწარი მათ შეხვედრას. ოზურგეთიდან, გარდა მწვრთნელისა, არავინ ახლდათ. დაჩაგრეს მსაჯებმა. შეხვედრის შემდეგ მსაჯებს ვუთხარი: –„ასეთი კარგი ფეხბურთელების დაჩაგვრა ქართული ფეხბურთის განვითარებას კარგ შედეგს არ მოუტანს“–მეთქი. სად იკარგებიან შემდეგ ასეთი კარგი ბავშვები? ან რატომ წავიდნენ შარშან „მერცხალიდან“ ფეხბურთელები ჩოხატაურის „ბახმაროში“? ხომ უნდა გათვალოს კლუბის ხელმძღვანელებამ ბიუჯეტი ისე, რომ ფეხბურთელსაც ნორმალური ხელფასი ჰქონდეს? გუნდმა წარმატებას რომ მიაღწიოს, ფეხბურთელს სათანადო მოტივაცია უნდა ჰქონდეს.

ახსოვთ კი ვეტერანი ფეხბურთელები? გასული საუკუნის 60-იანი წლების საუკეთესო მცველ გალორდი ზურაბაშვილს ქვედა კიდურები მოჭრეს. მისულა კი ვინმე ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაციიდან და ამბავი უკითხვას?

როცა „ბ“კლასში „მერცხალი“გადავიდა კოტე გოგატაძე იყო დირექტორი. იგი აკაკი მჟავანაძესთან ერთად დღედაღამ სტადიონის მშენებლობაზე იყო. იცით ალბათ, 50-იან წლებში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს. ერთ-ერთ გასვლით შეხვედრისას მძიმე ტრავმა მიიღო კოტემ და ფეხბურთის თამაში ველარ შეძლო. ამ კაცს დიდი დამსახურება აქვს ოზურგეთის ფეხბურთის წინსვლაში. არ შეიძლება, დაარქვან მისი სახელი სტადიონს? ეს იმ დიდი კაცის დაფასება იქნებოდა.

ჩვენ არ ვართ არავისი მტერი. გვინდა „მერცხალი“ უკეთესი შედეგებით უმაღლეს ლიგას დაუბრუნდეს.

რედაქციისაგან:

მიგვაჩნია, რომ ჩვენს რესპონდენტებს სათანადო არგუმენტები გააჩნიათ კრიტიკისათვის. დიდი ხანია არ შემდგარა საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ ხელმძღვანელების შეხვედრა გულშემატკივრებთან.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია მზადაა დაუთმოს საგაზეთო ფართი და სათანადო არგუმენტების მოშველიებით გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ხარიტონ ჩხატარაშვილმა პასუხები გასცეს გულშემატკივართა მიერ გაჟღერებულ შეკითხვებს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**

ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru